პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 119 (1289) ○ კვირა, 5 ოქტომბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

საკავშირო პროფსაბჭოში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა პროფკავშირთა VI საზაფხულო სპარტაკიადის შედეგები და მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სპარტაკიადა წარმოადგენდა მიმდინარე წლის ყველაზე მასობრივ ღონისძიებას და საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მოსამზადებელ ეტაპს.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით დააჯილდოვა მთელი რიგი ფიზკულტურული კოლექტივები და პროფკავშირების საქარხნო კომიტეტები VI საზაფხულო სპარტაკიადის მზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. საპატიო სიგელით დაჯილდოებულ იქნა აგრეთვე „ტრუდის" ცენტრალური საბჭო და „ბურევესტნიკის" მოსკოვის საქალაქო საბჭო, რომლებმაც წარმატებით უზრუნველყვეს მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები სპარტაკიადის გახსნის დღეს.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებთან და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გაშალონ მოსამზადებელი სამუშაოები ხალხთა II სპარტაკიადისათვის, ხელი შეუწყონ მშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას, გააცნონ მათ სპარტაკიადის მიზანი და ამოცანები.

სპორტის ზამთრის სახეობათა შემდგომი განვითარების მიზნით გადაწყდა 1959 წლის იანვარ-მარტში მოეწყოს პროფკავშირთა IV საკავშირო ზამთრის სპარტაკიადა.



სოხუმის სასროლეთი კვლავ ახმაურდა

სოხუმის მიდამოებში, მდინარე გუმისთას ნაპირებზე გრძელდება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ტყვიით სროლაში.

პირველი ორი დღე დაეთმო მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლას. თბილისელებმა დ. ფილიევმა და ა. შახბაზოვმა მოაგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 533. პირველობა მიეკუთვნა ფილიევს, მესამე ადგილზე გამოვიდა მათი თანაგუნდელი კ. პროზოროვი.

არმიული შაშხანიდან 300 მეტრზე სროლაში (3×20) ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ე. მიტინიანმა (თბილისი) — 517 ქულა. ქუთაისელი ვ. კოხრეიძე ჩემპიონს ჩამორჩა 9 ქულით.

გაქცეულ ირემზე 20 ერთეულ და 10 წყვილ გასროლაში პირველი თანრიგის შედეგით გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა გ. ბექთაშევმა (თბილისი), რომელმაც 200 შესაძლებლიდან 161 ქულა მოაგროვა და 3 ქულით გააუმჯობესა ჩვენი რესპუბლიკის რეკორდი. სხვა მონაწილეთაგან ვერავინ შეძლო ჩასათვლელი ნორმატივის (პირველი თანრიგის) შესრულება.

მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე რევოლვერით სროლაში პირადი პირველობა მოიპოვა შ. გუჯარელიძემ (თბილისი) კარგი შედეგით — 569 ქულა (600-დან), მომდევნო ადგილები დაიკავეს მისმა თანაგუნდელებმა კ. პროზოროვმა და ვ. პოლიაკოვმა, რომლებმაც შესაბამისად მოაგროვეს 566 და 565 ქულა. ნებისმიერი საბრძოლო შაშხანიდან 300 მეტრზე სამივე მდგომარეობიდან სროლაში გამარჯვების ძირითადი კონკურენტები იყვნენ სპორტის ოსტატები რ. ანანიკიანი და გ. ბექთაშევი. ორივე ოსტატმა ერთნაირი შედეგი აჩვენა — 554 ქულა და გაიყვეს I-II ადგილები. ყველა ჩატარებულ სახეობაში გუნდური პირველი ადგილები დაიკავეს თბილისელმა სპორტსმენებმა.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. სემიონოვი.

* * *

სურათებზე: ვ. კოხრეიძე ცეცხლის ხაზზე. მარჯვნივ — მსაჯთა კოლეგია ამოწმებს სამიზნეს.

საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

შეჯიბრების პირველი დღე

გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

შეჯიბრების პირველ დღეს ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძისა და მოსკოველი სპორტის ოსტატის ა. ალაბეკიანის შეხვედრა. მოწინააღმდეგეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ამიტომ ყოველი მათგანი ცდილობდა არ მიეცა მეორისათვის რაიმე უპირატესობა ილეთის ჩატარების დროს. განსაკუთრებით ფრთხილად იყო ალაბეკიანი და არ აშორებდა თვალს მოწინააღმდეგის ფეხების მოძრაობას. ამის მიუხედავად მეოთხე წუთზე ბალავაძემ მაინც ჩაავლო ფეხი და... ალაბეკიანი ხოჭბჯენში აღმოჩნდა. პირველმა წარუმატებლობამ მოსკოველი წონასწორობიდან გამოიყვანა. მან სცადა დაკარგული ქულის დაბრუნება და... ეკვეთა ბალავაძეს, რომელიც მხოლოდ ამას ელოდა. კვლავ ამუშავდა მსოფლიო ჩემპიონის ფეხები, კვლავ მოექცა ალაბეკიანი მის მუხანათურ მარწუხებში და კვლავ დაკარგა მოსკოველმა ქულები.. ალაბეკიანი დამარცხდა. პირველი შეხვედრა ბალავაძემ ჩაატარა ბრწყინვალედ, დიდოსტატურად.

არანაკლებ საინტერესო იყო გ. გობეჯიშვილის ჭიდაობა საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონთან, ესტონელ ე. საართან. პირველ წუთებზე აღებულმა ტემპმა და მის შედეგად ჩატარებულმა რამდენიმე ილეთმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი გობეჯიშვილის სასარგებლოდ. მართალია, შეხვედრის მეორე ნახევარში ესტონელი გააქტიურდა, მაგრამ გამარჯვებისათვის ეს საკმარისი არ გამოდგა.

სუფთა გამარჯვებით დაიწყო ტურნირი თბილისელმა ს. გაბარაევმა. 11 წუთი გასძლო ხალიჩაზე მისმა მოწინააღმდეგემ ოსტროვსკიმ, მაგრამ სწორედ საკონტროლო სიგნალის წინ შეეხო მისი ბეჭები ხალიჩას. წუთსა და 20 წამს გაგრძელდა მხოლოდ თბილისელი არსენიანის ბრძოლა ატაკანოვთან (თურქმენეთი).

დანარჩენი ბრძოლებიდან აღსანიშნავია მაისურაძის გამარჯვება ლენინგრადელ ვასილიევზე, მჭედლიშვილის მოგება (6 წუთსა და 24 წამში) ერევნელ გევორქოვთან, შეყრილაძის გამარჯვება მოსკოველ სპორტის ოსტატ კირიუხინზე და სხვ.

დ. ციმაკურიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი,
ნ. გუგუშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	22	14	3	5	44:25	31
„სპარტაკი"	21	12	6	3	52:26	30
ცსკ მო	22	9	9	4	40:25	27
„ზენიტი"	20	8	7	5	38:31	23
„ლოკომოტივი"	20	8	6	6	38:29	22
„ტორპედო"	22	7	8	7	51:42	22
„შახტიორი"	20	9	3	8	22:28	21
„დინამო" კ.	19	6	8	5	33:27	20
„დინამო" თბ.	21	8	2	11	33:54	18
„კრ. სოვეტ."	21	5	6	10	21:29	16
„მოლდოვა"	20	3	8	9	23:38	14
„ადმირალტ."	22	3	0	19	22:63	6

* * *

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. აქ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები ცსკ მო-„სპარტაკი". შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

კუიბიშევი. 2 ოქტომბერი. ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა" მიიღო მოსკოვის „ტორპედო". შეხვედრა მოიგეს ავტოქარხნის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

ლენინგრადი. 2 ოქტომბერი. ადგილობრივმა „ადმირალტეეცმა" თავის უკანასკნელ მატჩში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე მიიღო კიევის „დინამო" და განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:2.

მოსკოვი. 3 ოქტომბერი. დედაქალაქის „დინამომ" ბოლო შეხვედრა ჩაატარა სტალინოს „შახტიორის" წინააღმდეგ და მოიგო იგი ანგარიშით 4:1.

რამდენიმე საგულისხმო ციფრი

საქართველოს 16 მოჭიდავე სხვადასხვა დროს ატარებდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელს. ასეთები იყვნენ: ვ. ილურიძე, დ. ციმაკურიძე, ვ. მაჩკალიანი, ა. მეკოკიშვილი, ი. ბობოხიძე, შ. ნოზაძე, ე. ქარქუსაშვილი, ვ. გიგიაძე, ვ. ბალავაძე, ნ. მუზაშვილი, შ. დაუშვილი, მ. ცალქალამანიძე, ს. გაბარაევი, გ. სხირტლაძე, ზ. მჭედლიშვილი, ვ. არსენიანი. ამათგან საპატიო სახელი ყველაზე მეტჯერ ჰქონდათ: ა. მეკოკიშვილს — 9-ჯერ, დ. ციმაკურიძეს — 7-ჯერ, ვ. ბალავაძეს — 5-ჯერ, ვ. მაჩკალიანს — 7-ჯერ და ა. შ.

* * *

საქართველოს მოჭიდავეებს ყოველთვის შეხვდებით მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზეც. ასე მაგალითად: უმჩატეს წონაში (ჩემპიონების გარდა) საპრიზო ადგილებზე იყვნენ ლ. ძეკონსკი (ორჯერ), შ. ნოზაძე, ა. მაისურაძე, მ. ცალქალამანიძე (თითო-თითოჯერ), მჩატე წონაში — შ. ნოზაძე (ორჯერ), ვ. გიგიაძე (ორჯერ), ქვემსუბუქ წონაში — ნ. მუზაშვილი (სამჯერ), გ. ჯინჭარაძე (სამჯერ), ვ. ილურიძე და ზ. დენთოშვილი (თითოჯერ). მსუბუქ წონაში — ვ. ილურიძე (ხუთჯერ), ს. გაბარაევი (სამჯერ), ვ. ბალავაძე (ერთხელ), ქვესაშუალო წონაში — ე. ქარქუსაშვილი, მახარობლიშვილი, ვ. ბალავაძე (თითოჯერ), საშუალო წონაში — გ. სხირტლაძე (ორჯერ), დ. ციმაკურიძე (ორჯერ), შ. ესებუა, შ. დაუშვილი, გ. როსტიაშვილი, ე. ქარქუსაშვილი, გ. გობეჯიშვილი (თითოჯერ), ქვემძიმე წონაში — ვ. მაჩკალიანი (სამჯერ), შ. დაუშვილი, შ. ჩიხლაძე, ო. კანდელაკი (თითოჯერ), მძიმე წონაში — შ. მდინარაძე, ო. კანდელაკი, ვ. ბათლიძე (ორ-ორჯერ) ა. მეკოკიშვილი, შ. ჩიხლაძე (თითოჯერ).

* * *

განსაკუთრებით წარმატებით გამოდიოდნენ ქართველი მოჭიდავეები საშუალო წონაში. აქ ისინი 10-ჯერ იყვნენ პირველ ადგილზე, მძიმე წონაში 9-ჯერ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩემპიონები იყვნენ აგრეთვე ქვესაშუალო წონაში — 6-ჯერ, ქვემძიმე და მჩატე წონებში — 5-5-ჯერ, ქვემსუბუქ და უმჩატეს წონებში — 3-3-ჯერ და ერთხელ მსუბუქ წონაში.

თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობის გათამაშება 5, 6 და 7 ოქტომბერს გაიმართება თბილისის „დინამოს" სტადიონზე

დასაწყისი 11 და 18 ს.







დავაჩქაროთ საწყლოსნო გაზეგის რემონტი და მშენებლობა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი მწვავედ განიცდიდა საწყლოსნო ბაზების სიმცირეს. ფიზკულტურელის პარკის ღია და „დინამოს“ სტადიონის დახურული აუზები ვერ აკმაყოფილებდა ცურვის მოყვარულთა ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნებს, ნიჩბოსნებს სავარჯიშოდ სიარული უხდებოდათ მცხეთის წყალჯომარდობის სადგურში. მაგრამ ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. ახლა საწყლოსნო სპორტში მეცადინეობის მსურველებს შედარებით უკეთესი პირობები აქვთ, თანდათან შენდება და კეთილმოწყობილი ხდება ბაზები მტკვარსა და თბილისის ზღვაზე. ამ უკანასკნელზე უკვე არა ერთი შეჯიბრება გაიმართა ნიჩბოსნობაში. ძირითადად დამთავრდა „განთიადის“ შესანიშნავი საცურაო აუზის მშენებლობა ორთაჭალაში, ვაკეში ფიზკულტურის ინსტიტუტის გვერდით შენდება რესპუბლიკაში უდიდესი დახურული აუზი, რომელიც აქ არსებულ „ბურევესტნიკის“ სტადიონთან, ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზებთან ერთად ნამდვილ სპორტულ კომბინატს შექმნის, სადაც ნორმალური წვრთნის ყოველგვარი პირობები იქნება შექმნილი.

ახლა ბაზები შენდება, ეს ფაქტია, მაგრამ როგორ, მალე ჩადგებიან თუ არა ნამდვილად კეთილმოწყობილი ბაზების რიგში, აი რის შესახებ გვინდა შევჩერდეთ ამ წერილში.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა დახურულ საცურაო აუზს, რომელსაც ექნება 50-მეტრიანი საცურაო აუზი 10 ბილიკით, ჩრდილოეთ მხარეზე მოეწყობა ტრამპლინი და კოშკი. აუზის კედლებში მთელ სიგრძეზე ორივე მხრიდან დატანებული იქნება ფანჯრები, რაც მწვრთნელს საშუალებას მისცემს თვალყური ადევნოს სპორტსმენის წყალქვეშა მოძრაობას. მოეწყობა ოთახები „მშრალი ცურვისათვის“, საერთო ფიზმომზადებისათვის, კაბინეტები, დამხმარე მოწყობილობანი, ტრიბუნები დაიტევს მრავალ მაყურებელს, ბაზა გადაიხურება თაღით.

აუზის მშენებლობის შესახებ ვეუბრეთ სამუშაოთა ხელმძღვანელს შ. დავლიანიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ დღეისათვის აქ შესრულებულია სამუშაოთა მხოლოდ 20-30 პროცენტი (!), მუშაობა სრული ტემპით გაჩაღდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადაწყდება გადასახური მასალის დამზადების საკითხი, რომელიც მინდობილი აქვს ქალაქის რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხანას. არის სხვა ხელისშემშლელი პირობებიც. განიცდიან წყლის ნაკლებობას, ცუდად მარაგდებიან ცემენტითა და აგურით.

მიმდინარე წლის ზაფხულში ძირითადად დამთავრდა „განთიადის“ საცურაო აუზის მშენებლობა ორთაჭალაში. 50-მეტრიანი აუზის გარდა იქვე მოეწყო აუზი დამწყებთათვის და წყალში მხტომელებისათვის, ტრიბუნები, გასახდელები და სხვა სათავსოები. ერთის შეხედვით, თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. მაგრამ ბაზის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. საშველი არ დაიგვიანა ტრამპლინის მშენებლობის დამთავრებას, ბაზის ტერიტორიის კეთილმოწყობას. აქ არსებული ერთ დროს დამხმარე სახელოსნოების ნახევარი დაანგრიეს, მეორე ნახევარი კი ადგილზე დატოვეს, რაც საგრძნობლად აფერხებს დარჩენილი სამუშაოების შესრულებას. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ბაზას ჯერ კიდევ არ ყავს ზედამხედველი. შტატი, რომელიც უხელმძღვანელებდა დღემდე ცარიელი აუზების გავსებას, ჯგუფების მეცადინეობას, ნათელი გახდება, რომ ბაზა, რომლის ექსპლოატაცია უკვე შეიძლება — გამოუყენებელია.

დასასრულს უახლოვდება „დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურაო აუზის კაპიტალური რემონტი, რომელიც ივლისის დამლევს დაიწყო და დღემდე ჭიანურდება. მთელი რიგი სამუშაოები უკვე შესრულებულია. ახლა საჭიროა რემონტის ტემპების დაჩქარება, რათა მოახლოებული ზამთრის პერიოდში დროულად მიეცეს საწვრთნელი ბაზა ჩვენს მოცურავეებს.

რაკი საწყლოსნო ბაზებს შევეხეთ, კიდევ ერთი ბაზის შესახებ გვინდა მოვაგონოთ ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტს — ესაა წყალჯომარდობის სადგური მტკვარზე. ახლა აქ მალე აიწევს მდინარის დონე, შესაძლებელი იქნება წვრთნის სრული ძალით გაშლა ნიჩბოსნობაში. მსურველთა რაოდენობა 400-მდე აღწევს, ბაზა კი მოუმზადებელია. სადგურის გამგის ნ. დემენტიევის არა ერთგზის მიმართვის მიუხედავად, სპორტნაგებობათა სამმართველომ დღემდე ვერ დაამთავრა კედლის ამოყვანა და ნავების მისადგომების მშენებლობა, უკვე მეორე წელია ჭიანურდება მისასვლელი გზის კეთილმოწყობა. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ისიც, რომ არსებული ელინგი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მეორე — ღია ელინგის მშენებლობაზე, რომლის შესახებ გადაწყვეტილება კარგა ხანია მიიღეს, არავინ ფიქრობს, ამიტომ მთელი ზაფხულის

მე-2 გვ. № 119 (1289)

საგჯოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი პირობაა კეთილმოწყობილი სპორტული გაზეგი

უმნიშვნელო და მნიშვნელოვანი წვრილმანები

ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებს ერთი განუკურნები სენი სჭირთ. მოჰკიდებენ ხელს რაიმე კარგ წამოწყებას, დაანთებენ შრომის ცეცხლს და როდესაც საქმის ბოლომდე მიყვანას აღარაფერი აკლია, ერთბაშად გაგრილდებიან. როგორ გეკადრებათ წვრილმანებზე ლაპარაკი. პრობლემები, ახალი ამოცანები, ნოვატორები—აი დღევანდელი დღის გაქანება. თქვენ კი რაღაც დეტალებს ჩაჰკირკიტებთ—იციან ამ დროს საყვედურის ენით ლაპარაკი. ხომ ხედავთ ფუნდამენტი ჩავყარეთ, კედლები ამოვიყვანეთ, პერი გადავხურეთ, არქიტექტურულ გაფორმებაზეც კი ვიზრუნეთ, თქვენ კი... ეჰ! რას ნიშნავს წვრილმანი სული.

არა ამხანაგო მშენებლებო! საქმემ წვრილმანი არ იცის. ის რაც თქვენ უმნიშვნელო დეტალად მიგაჩნიათ, ჩვენთან შეიძლება მთავარი იყოს.

თბილისელმა ტანმოვარჯიშეებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — ფართო, მაღალჭერიანი, სინათლიანი დარბაზი სხვადასხვა დამხმარე ოთახებით და სათავსოებით. აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. ლამაზ და მყუდრო ბაღში ჩადგმული დარბაზი მართლაც იდეალურ სავარჯიშო პირობებს უქმნიდა სპორტსმენებს. ასე ფიქრობდნენ ტანმოვარჯიშეები როდესაც დარბაზის საზეიმო გახსნის დღეს დაათვალიერეს იგი. მაგრამ აი უკან დარჩა მუსიკის ხმები, ბოზეიმე სახეები და მხიარული განწყობა. დაიწყო დარბაზის საბრძოლო გამოცდა და მან კრახი განიცადა ტანმოვარჯიშეთა პირველსავე მეცადინეობაზე.

— შხაპი არ არის, — დაირხა პირველი საგანგაშო სიგნალი.

— როგორ თუ არ არის, — იკითხა ამ ახალი აღმოჩენით გაკვირვებულმა, ოდნავ შეშფოთებულმა სახემ და თვალები ჯიუტად გაუყარა წარწერას „შხაპი“.

— შედი და ნახავ!

პირველი უმნიშვნელო წვრილმანი — შხაპი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ იძლეოდა. აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მდევის ხელი მოუჭირეს რკინის მილს დ. წყალმა მართლაც იწყო დენა, უფრო სწორად ჟონვა. მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი სითხე (დიახ ორმაგი წყალბადის ნაერთი ჟანგბადთან), რომლის ტემპერატურა ეახლოვებოდა რა გაყინვის წერტილს, ვერაფრით ვერ შეასრულებდა იმ მისიას, რასაც შხაპის მიღება ჰქვია. სამსაათიანი ვარჯიშის შემდეგ დაღლილ, გაოფლილ თანამედროვეს დარჩა თბილი წყლის გარეშე (ვინ იცის რამდენი ხნით). ამას სპორტსმენების ენაზე დანაშაული ჰქვია და ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ამ განსაზღვრას. ოდნავ უკეთესი ბედი ეწია კანალიზაციას. იგი დარბაზის საექსპლოატაციოდ გადაეცა 18 დღის შემდეგ ამუშავდა მხოლოდ. ეს უკანასკნელი ამბავი ამედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შხაპი, ერთი ორი თვის შემდეგ მაინც ამუშავდება.

ლუჟნიკის სპორტულ მოედანს სამართლიანად უწოდებენ ჩვენში სპორტის სასახლეს. რატომ? განა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ფეხბურთისა ან კალათბურთის საუკეთესო მოედნებია, პირველხარისხოვანი დახურული სპორტული დარბაზია, ან საცურაო აუზი? სრულებითაც არა. რაც მთავარია, აქ ბრწყინვალედაა დაყენებული საქმე, რასაც სპორტსმენთა კულტურულ მომსახურებას უწოდებენ. კეთილმოწყობილი დასასვენებელი ოთახები, გასართობი კუთხეები, მოსაცდელები, სამკითხველო და სხვა დამხმარე კაბინეტები სპორტსმენთა ნორმალური წვრთნის, შეჯიბრებისა და დასვენების სრულ ციკლს ქმნის.

განა არ შეიძლება ჩვენს ტანვარჯიშულ დარბაზში მსგავსი ნაბიჯის გადადგმა? არ არის აუცილებელი ოთახების რიგაში დამზადებული ავეჯით მოწყობა. დავდგათ ისეთი სავარძლები, რომ სპორტსმენმა დაჯდომის შემდეგ გარკვეული პროცენტით სიამოვნება იგრძნოს. არც ჟურნალ-გაზეთების, ბროშურების და წიგნების თავმოყრა ერთ რომელიმე ოთახში უნდა იყოს მაინცდამაინც რთული საქმე.

კიდევ ერთი პატარა დეტალი, რომელიც ეთიკის დაცვის შესუსტებაზე მეტყველებს. მწვრთნელები და სპორტსმენები ერთსა და იმავე ოთახში იხდიან ტანსაცმელს. ქვეყანა, რა თქმა უნდა, ამით არ იქცევა, მაგრამ გაცილებით უფრო აზრიანი იქნებოდა მწვრთნელისათვის ცალკე ოთახის გამოყოფა, კომფორტის ელემენტარული ნორმების დაცვით.

საინტერესოა, შეიძლება თუ არა ფეხბურთის მოედნის წარმოდგენა კარის გარეშე, ან კალათბურთის მოედანზე ვარჯიში თუ იქ არ არის დადგმული „კალათი? რა თქმა უნდა არა. კიდევ ერთი შეკითხვა — შეიძლება თუ არა ტანვარჯიშული დარბაზის წარმოდგენა ტანვარჯიშული კედლის გარეშე? ფეხბურთელებისათვის, ძალოსნებისათვის, მოკრივეებისათვის, ტანმოვარჯიშეებისათვის კი თურმე შეიძლება. თუ არ გჯერათ, შეიარეთ ახალ დარბაზში სტალინის სახელობის სანაპიროზე და საკუთარი თვალით ნახეთ არის თუ არა იქ ტანვარჯიშული კედელი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დარბაზი სპორტული ინვენტარით საკმარისად არ არის მომარაგებული. ინვენტარი მთავარი რგოლია სპორტსმენის მომზადების საქმეში და თუ აქ ყველაფერი რიგზე არ იქნება, წვრთნა ვერასდროს სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

დაბოლოს რამდენიმე სიტყვა განმარტებისათვის. როდესაც ვლაპარაკობთ მშენებლებზე, მხედველობაში გვყავს არა მხოლოდ ისინი, ვისაც აგური აგურზე ამოჰყავდა, ვინც აპროექტებდა მშენებლობას და ვინც ხელმძღვანელობდა მის დაბადებას. მშენებლებში ჩვენ გავაერთიანეთ ყველა ისინი, ვინც პასუხისმგებლები იყვნენ დარბაზის საბოლოო ხარისხზე. მაშ კეთილი ინებონ და წესრიგში მოიყვანონ ყველა „წვრილმანი“.

ნ. ახვლედიანი

განმავლობაში ღია ცის ქვეშ ჰყრია ძვირფასი ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილი. საშველი არ დაადგა დაზიანებული ნავების შემკეთებელი სახელოსნოს მოწყობასა და მის შევსებას სათანადო ხელსაწყოებით. წესრიგშია მოსაყვანი ელექტროქსელი, გასახდელები, საშხაპეები, ექიმის კაბინეტი, არა აქვთ სატელეფონო კავშირი ქალაქთან.

ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა და სპორტნაგებობათა სამმართველომ არ უნდა დაივიწყონ, რომ ეს ბაზა განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებს.

ი. ფსუტური,
ა. ბელდიაშვილი,
ა. ბარნაბიშვილი.

* * *

სურათებზე: ზევიდან ქვევით — დახურული აუზის მშენებლობა, რიყეზე შერჩენილი მოტორიანი ნავი. „განთიადის“ საწყლოსნო სადგურის ხედი.

მიუნჰენის ოლიმპლიადა

XIII საჟადრაკო ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების რიცხვი სარეკორდოა — 36. ისინი ოთხ ნახევარფინალურ ჯგუფად არიან დანაწილებულნი. სამ-სამი გამარჯვებული თვითეულ ჯგუფიდან ერთმანეთს შეხვდება ფინალში და წრიული სისტემით იბრძოლებს ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის.

პირველმა ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა: პირველ ჯგუფში საბჭოთა მოჟადრაკეები შეხვდნენ ჰოლანდიელებს. ყაიმით დამთავრდა სამი შეხვედრა ბოტვინიკისა დონერთან, სმისლოვისა — პრინსთან და ბრონშტეინისა — კრამერთან. საბჭოთა კავშირის გუნდს გამარჯვება მოუტანა კერესმა, რომელმაც დაამარცხა ვან-დენ-ბერგი. შეხვედრის ანგარიშია 2,5:1,5. ასეთივე ანგარიშით ირლანდიელებმა მოუგეს იტალიელებს. დანიისა და ბულგარეთის შეხვედრაში ანგარიშია 1,5:1,5 და მატჩის ბედს გადაწყვეტს ერთი გადადებული პარტია. ავსტრიელებმა სამი დამთავრებული პარტიიდან 2,5 ქულა მოაგროვეს პუერტო-რიკოს მოჟადრაკეებთან შეხვედრაში. ისვენებდა საფრანგეთის გუნდი.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია ნაგლერი (შვეიცარია). მსაჯთა კოლეგიაში შედიან აგრეთვე ფლორი (საბჭოთა კავშირი), გოლომბეკი (ინგლისი), შტალბერგი (შვეიცია), ეიგე (ჰოლანდია), კამპიომანისი (ფილიპინები), შნეიდერი, ჰოიტი და ფოლი (სამივე გფრ).





სურათებზე: მარცხნიდან გამარჯვებულის კვარცხლბეკზე — ცენტრში სსრ კავშირის ჩემპიონი ფ. [illegible], კაპიტანი [illegible], თბილისელი [illegible] — სპორტის ოსტატი ი. რიაზანოვა, ს. ლიხაჩოვი თამაშის მომენტში.

მოსკოვის გუნდი კვლავ ჩემპიონია

დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჩოგბურთში, რომელიც ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისის სპორტულ ბაზებზე.

მოლოდინი არ გაამართლა ფინალურმა შეხვედრამ მოსკოვისა და უკრაინის გუნდებს შორის, რომელიც დედაქალაქის სპორტსმენებმა მოიგეს დიდი ანგარიშით — 12:3. როგორც ყოველთვის, ისე წელსაც საინტერესოდ წარიმართა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის მოსკოველ ს. ანდრეევისა და უკრაინელ მ. მოზერის ორთაბრძოლა. უკრაინელი ცნობილია როგორც აგრესიული მოთამაშე. ამჯერად მან ენერგიულად შეუტია მოწინააღმდეგეს და აიძულა იგი ერთხანს თავდაცვაზე ყოფილიყო, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩემპიონი კარგად გაერკვა შექმნილ მდგომარეობაში, ხშირად თვით გადადიოდა შეტევაზე და ქულას ქულაზე აგროვებდა. თუ კი პირველ ორ პარტიაში მ. მოზერმა ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს (5:7, 5:7) მან ადვილად დათმო მესამე პარტია — 1:6. თანაგუნდელის დამარცხებისათვის რევანში აიღო ვ. კუზმენკომ (უკრაინა) მოსკოველ ვ. ფილიპოვასთან. შეხვედრა მოუგო უკრაინის გუნდის წარმომადგენელმა ანგარიშით 6:4, 6:4.

მრავალრიცხოვანი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია მესამე ადგილის პრეტენდენტების საქართველოსა და ესტონეთის ნაკრები გუნდების მატჩმა. თავის გუნდს 4 ქულა მისცეს რ. აბჟანდაძემ, ნ. ნოვოსელცოვამ, ნ. მძინარიშვილმა, გ. მუსაელიანმა, ამას დაემატა ი. რიაზანოვას მიერ მოპოვებული ერთი ქულაც. მაგრამ როცა შეჯიბრებაში ჩაებნენ მამაკაცები, აღმოჩნდა, რომ საქართველოს გუნდის მოწინააღმდეგე აშკარად ძლიერი იყო, რამაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი ესტონელების სასარგებლოდ — 11:7. V-VI ადგილებისათვის იბრძოდნენ რსფსრ-სა და ლენინგრადის ჩოგბურთელები. გაიმარჯვა პირველმა ანგარიშით 11:6. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: აზერბაიჯანი, ბელორუსია, ლატვია, უზბეკეთი, ლიტვა, სომხეთი, მოლდავეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი.

ლ. თუშიშვილი

სხვადასხვა მარშრუტით

49 სხვადასხვა ტიპის მანქანა ერთდროულად მოწყდა ადგილს და მაყურებელთა გასაკვირად თვითეულმა მათგანმა გეზი ქალაქის სხვადასხვა კუთხისაკენ აიღო.

ამ უჩვეულო სტარტის, რომელიც ამას წინათ გმირთა მოედანზე მიეცა, მიზეზი ის იყო, რომ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მილიციის სამმართველომ და თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების დამხმარე ხაბჭოსთან ერთად ქალაქ თბილისის ავტომძღოლთა მოძრაობის წესების დაუფლებაზე გამართულ შეჯიბრების მონაწილეებს ნება მისცეს თვითონ გადაეწყვიტათ ამოცანა, თუ როგორ გაევლოთ დასახული მარშრუტის ათი საკონტროლო პუნქტი.

მსუბუქი მანქანების ავტომძღოლებიდან გაიმარჯვა ა. ბეკერმა (ტაქსის გამოყენების ავტოსატრანსპორტო კანტორა), რომელმაც ორი საჯარიმო ქულა მიიღო და მანძილი 2.44:24 საათში დაფარა. მართალია, ვ. საბაშვილს (სოფლის მეურნეობის სამინისტრო) და გ. სარქისოვს (ტაქსის გამოყენების ავტოსატრანსპორტო კანტორა) შესაბამისად ნაჩვენები ჰქონდათ 2.07:25 და 2.27:50 საათი, მაგრამ მათ 4-4 საჯარიმო ქულა მიიღეს და მეორე-მესამე ადგილები განაწილეს.

საჯარიმო ქულის მიუღებლად დაამთავრა მანძილი სატვირთო მანქანის მძღოლმა ვ. მეგრაბიანმა (გეოლოგიური სამმართველო). მისი შედეგია 3.00:06 საათი. დროის უკეთესი მაჩვენებლებით, მაგრამ 2-2 საჯარიმო ქულით მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ს. წერეთელი (საქთბილკონდიტერი) და ი. შულგა (თბილმშენი).

გუნდურ ჩათვლაში 10 საჯარიმო ქულით გაიმარჯვა გეოლოგიურმა სამმართველომ, მეორეზეა — საქთბილკონდიტერი (27 ქულა).

ბ. სამსონაძე

პირველი ტაიმი არ გავდა მეორეს

ორაფრით გავდა ერთმანეთს ამ მატჩის პირველი და მეორე ნახევარი. მას შემდეგ, რაც პირველსავე წუთზე მოსკოველებმა ბარქაიას სახიფათო გარღვევა მოიგერიეს, სტუმრები მთლიანად დაეპატრონენ მოედანს და ზედიზედ შეუტიეს მასპინძელთა კარს.

„დინამოს" მცველები, რომელთა რიგებში ავადმყოფობის შემდეგ კვლავ ჩადგა ხოჭოლავა, მთელი ძალებით ჩაებნენ ბრძოლაში, მაგრამ არც ახლა გაუმართლა თბილისელ მარცხენა მცველს. ზაიცევთან ბურთისათვის ბრძოლაში ცუდად დაეცა და იძულებული შეიქმნა მეოთხე წუთზე თავისი ადგილი უსტაბაშიდისათვის დაეთმო. მართალია, წინა მატჩში ახალგაზრდა მცველმა კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა, მაგრამ ხოჭოლავას მიერ მოედნის დატოვებამ მაინც ერთგვარი დაღი დასვა მატჩის შემდგომ მსვლელობას.

სტუმრები თანაბრად თამაშობდნენ როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეს. და აი, მე-11 წუთზე კარიდან უდროოდ გამოსულ თბილისელთა მეკარეს ზაიცევმა თავზე გადაუგდო ბურთი და ანგარიში გახსნა — 1:0.

ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა დაიკარგა 29-ე წუთზეც, როცა ბარქაიას მიერ მარჯვენა მხრიდან კარის წინ მოწოდებული ბურთი თავზე „დააჯდა" გაგნიძეს, მაგრამ მან ხელებში მიიწოდა მეკარე მასლაჩენკოს.

მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. ტაიმის დასაწყისიდან მოპოვებული ტერიტორიული უპირატესობა მსაჯის საფინალო სასტვენამდე თბილისელებს არ გაუშვიათ ხელიდან. აშკარა შეიქმნა, რომ თბილისელებსაც შეძლებიათ თამაში და გაცილებით უკეთესად, ვიდრე მოსკოველ მოწინააღმდეგეებს. სტუმრებმა მეორე ნახევარში კოვალოვის ნაცვლად მოედანზე გამოიყვანეს სოკოლოვი, რომელმაც კალოევთან ერთად მეორე ცენტრი შექმნა. რკინიგზელებს სურდათ წარმატების განმტკიცება, რადგან მატჩის მოგებით იმტკიცებდნენ მესამე ადგილის მოპოვების შანსებს. დამარცხება არც მასპინძლებს სურდათ და ახლა ყველა ფეხბურთელი თავგამოდებით იბრძოდა მოედანზე.

სტუმრები დაჯარიმდნენ. ჩოხელის მიწოდება მელაშვილმა საჯარიმო მოედანზე თავით გადასცა მესხს, რომელმაც მარცხნიდან შემოუარა მცველთა ჯგუფს. მისი მოულოდნელი, შესანიშნავი ძლიერი დარტყმის წინაშე უძლური აღმოჩნდა მასლაჩენკოს აკრობატული ნატტომი.

30-ე წუთზე ისევ გათამამდა გაგნიძე-მელაშვილი-ბარქაიას კომბინაცია. ამ უკანასკნელმა შეამჩნია კარის წინ თავისუფლად მყოფი იამანიძე და მიაწოდა, რომელმაც ბადეში შეაგორა ბურთი.

2:1 თბილისელთა სასარგებლოდ — ასე დამთავრდა ეს საინტერესო მატჩი.

ო. გელაშვილი

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 3 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 2:1 (0:1).

„ლოკომოტივი" — მასლაჩენკო; როგოვი, ალიოშინი, ჩერნიკოვი; კოვალიოვი (სოკოლოვი), მორგუნოვი; ზაიცევი, ვოროშილოვი, კალოევი, ბუბუკინი, მინულაევი.

„დინამო" — კვაჭაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა (უსტაბაშიდი); ა. კოტრიკაძე, ლოლობერიძე; გაგნიძე, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ა. მალეცი (უჟგოროდი).

სურათზე: მ. მესხი ბურთისათვის ბრძოლის დროს.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.

დასკვნითი შეჯიბრების მონაწილენი გამოირკვნენ

ჩვენს ქვეყანაში ფარიკაობის ისტორიის მთელ მანძილზე პირველად მოეწყო თასის გათამაშება, რომელიც ტარდება სამ ტურად. პირველი ტური — ქალაქებში, მეორე ტური — მოკავშირე რესპუბლიკებში, მესამე — დასკვნითი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში გამარჯვებულნი და რომელიც ჩატარდება ა. წ. 22-27 ოქტომბერს ვილნიუსში.

28 სექტემბერს ხაშურის რკინიგზის კულტურის სახლში გაიმართა თასის გათამაშების მეორე ტურის შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, თელავისა და რუსთავის მოფარიკაველებმა.

ქალთა შორის რაპირით ფარიკაობაში ძირითადად ბრძოლა გაიმართა სპორტის ოსტატ ი. ესაიაშვილისა (თბილისი) და 1958 წლის მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებულ ქუთაისელ ლ. კოხრეიძეს შორის. თანაბარი ორთაბრძოლის შემდეგ (5:5) ინიციატივა ხელთ იგდო ფიზიკურად კარგად მომზადებულმა ლ. კოხრეიძემ და ანგარიში თავის სასარგებლოდ წაიყვანა — 5:7. გამარჯვებისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი ჩხვლეტის მიყენება, მაგრამ ამჯერად გამოცდილმა ოსტატმა ი. ესაიაშვილმა ისარგებლა მოწინააღმდეგის ტაქტიკური შეცდომით და ანგარიში გაათანაბრა—7:7 (დებულების მიხედვით გამარჯვებული ორი ჩხვლეტის უპირატესობით განისაზღვრებოდა). შეხვედრა გაგრძელდა 9 ჩხვლეტამდე. ლ. კოხრეიძემ შეძლო კიდევ ერთი ჩხვლეტის მიყენება, ხოლო 3 საპასუხო მიიღო. ეს მეტად საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით (10:8), ი. ესაიაშვილის სასარგებლოდ.

ესპადრონით ფარიკაობაში ვაჟებს შორის სპორტის ოსტატმა ნ. ასათიანმა დაამარცხა ქუთაისელი ჯ. კვანტალიანი რუსთავის წარმომადგენელი გ. ფეიქრიშვილი, ხოლო ჯ. გოგაძემ ვ. აფონკო და ქუთაისელი ჯ. მოსიძე.

ნახევარფინალში ნ. ასათიანმა (10:5) დაამარცხა ჯ. გოგაძე და დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

რაპირით მოფარიკავე ვაჟთა შეჯიბრება მეტად უინტერესო გამოდგა. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს თბილისში ჩატარებული პირველი ტურის გათამაშებაში დაშვებული შეცდომა, რაც გამოწვეული იყო კენჭისყრის შედეგად. წინასწარ შეხვედრებში თბილისელი ძლიერი მოფარიკავეები ერთმანეთს შეხვდნენ, ხოლო შედარებით სუსტები კი — სუსტებს. ამიტომ ნახევარფინალში სპორტის ოსტატის ოთარ კიკალეიშვილის უპირატესობა აშკარა იყო და მან პირველი ადგილი დაიკავა.

თბილისის დაშნით მოფარიკავენი ერთ-ერთი უძლიერესნი არიან საბჭოთა კავშირში. სამწუხაროდ, პირველი ტურის გათამაშებაში უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია (1958 წლის სსრ კავშირის ჩემპიონი რ. ცირეკიძე, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრი, მსოფლიო პირველობის მონაწილე გ. კოსტავა, სპორტის ოსტატი კ. გოგელია) და მექანიკურად დაკარგეს მეორე ტურში მონაწილეობის უფლება.

ამ სახეობაში მეორე ტურში მონაწილეობდა 7 კაცი. მათგან ელექტროდაშნის მეტად უხარისხობის გამო რამდენიმე შეხვედრა არ შედგა. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატი ა. ასათიანი და ი. პეტროსოვი. შეხვედრა დამთავრდა ასათიანის სასარგებლოდ.

ბ. მესხი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



მ. ტოგონიძე ნ. გაფრინდაშვილი ა. ჩაიკოვსკაია ე. კაკაბაძე

საქართველოს მოჭადრაკეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის 1958 წლის საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯის ნაამბობი

ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით იტალიელი კოლეგების მდგომარეობიდან გამოყვანას და როდესაც ბოლოსდაბოლოს დარწმუნდნენ, რომ ინციდენტი მთლიანად გადაგვავიწყდა, თვითონაც დაივიწყეს იგი სამუდამოდ.

— რატომ მაინცდამაინც ბოლონია აირჩიეს შეჯიბრების ადგილად იტალიელებმა და არა მილანი, ან რომი?

— გეტყვით, დიდი სიამოვნებით გეტყვით, — გვიპასუხა ვახტანგ ჯაფარიძემ, და მოგვიყვა ასეთი ამბავი. ბოლონია არ არის არც რომზე დიდი, არც მილანზე, გენუაზე ან ნეაპოლზე, მაგრამ იგი მაინცდამაინც არც ისე პატარა ქალაქია. მოსახლეობის რაოდენობით იგი მეოთხე თუ მეხუთე ქალაქია იტალიაში. მცხოვრებთა რაოდენობას ამ კანდიდატურის შერჩევის დროს არავითარი როლი არ უთამაშია თურმე. ყველაფრის მიზეზი კვლავ სენიორ მაირანო ყოფილა, რომლის ინიციატივითაც აშენდა ბოლონიაში შესანიშნავი დახურული დარბაზი, დიახ, შესნიშნავი, რომლის მსგავსი მსოფლიოში ალბათ არ არის

ჩვენ ვნახეთ ალექსანდრიის დარბაზი რამდენიმე წლის წინ. მას ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზად თვლიდნენ. ბოლონიის დარბაზთან იგი ახლოს ვერ მივა. წარმოიდგინეთ არაჩვეულებრივად ლამაზი ორსართულიანი ნაგებობა. ქვედა სართული დათმობილი აქვს გასახდელებს, შხაპებს, სპორტსმენთა დასასვენებელ ოთახებს. აქვეა ვეებერთელა სავარჯიშო მოედანი, მეორე სართული სადემონსტრაციოა. დარბაზში ეტევა 7-8 ათასი მაყურებელი. ჭერი ცელულოიდისაა და საჭიროების შემთხვევაში მთლიანად იხდება. ოთხივე კედელი მინისაა. წითელი ხის იატაკი ისე პრიალებს, რომ შიგ საკუთარ თავს დაინახავ, როგორც სარკეში.

ნაგებობა მთლიანად ავტომატიზებულია. ავტომატიზებულია შხაპებიც კი. საკმარისია დააჭიროთ წყლის ტემპერატურის აღმნიშვნელ შკალას თითი, წამოვა როგორი წყალიც გსურთ: ცხელი 30-გრადუსიანი, უფრო გრილი, კიდევ უფრო და ასე შემდეგ ცივამდე. ასეთ პირობებში ძნელი გასაგები არაა რატომ მაინცდამაინც ბოლონიაში ჩატარდა ტურნირი.

— როგორი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელმა? — იყო ჩვენი მორიგი კითხვა

— ძნელად თუ სადმე შეხვდებით ისეთ ექსპანსიურ მაყურებელს, როგორც იტალიაშია. წინასწარ გეტყვით, რომ მსაჯობის შემდეგ დარბაზიდან გამოვდიოდი არაჩვეულებრივად დამძიმებული თავით და დიდხანს არ მცილდებოდა კოშმარული ხმაურის ეხო. სპორტსმენების მსგავსად მაყურებლებიც ემზადებიან თამაშისათვის საკმაოდ გულდასმით, იმარაგებენ საყვირებს, სასტვენებს, ზარებს— ყოველნაირ ინსტრუმენტს, რასაც შეუძლია შემზარავი ხმის გამოღება. საკმარისია იტალიელთა მოწინაალმდეგე გუნდმა ჩაიგდოს ბურთი, რომ მთელი ძალით იწყებს მუშაობას ეს ჯოჯოხეთური მანქანა, როგორც კი ბურთი იტალიის გუნდს უვარდება ხელთ, მკვიდრდება სამარისებური სიჩუმე. ხშირად ისეთ ზომამდე მივდიოდით მსაჯები, რომ გულახდილად გვწყინდა იტალიელთა შეცდომა, რის შედეგადაც ბურთი მოწინაალმდეგეს უნდა გადასცემოდა. ერთი რამ იყო მხოლოდ გასაკვირი; როგორც გავიგეთ, შესასვლელი ბილეთების მაღალი ფასის გამო (დაახლოებით 1000 ლირა) თამაშებს მშრომელი მასა ნაკლებად ესწრებოდა. ბილეთების ყიდვა მხოლოდ „საპატიო წრის" წარმომადგენლებს შეეძლოთ. და სწორედ ეს „საპატიო წრე" ყოფილა უკიდურესად ექსპანსიური. რა იქნება, ვფიქრობდი, თამაშებზე ახალგაზრდობაც რომ დადიოდეს. ისინი ჯერ მხოლოდ ქუჩებში არიან უკიდურესად ხმაურიანი უბრალო სეირნობის დროსაც კი.

— როგორ ითამაშა... მოვემზადეთ ახალი კითხვისათვის, მაგრამ მოპასუხემ აღარ გვაცალა.

— ვიცი თქვენ გაინტერესებთ გურამ მინაშვილის თამაში. ბრწყინვალედ! შესანიშნავად! მე გურამის ასეთი ძლიერი თამაში არასდროს მინახავს. ყველამ კარგად იცით მაირანოს თასის შედეგი. ჩვენმა გუნდმა მოიგო ოთხივე თამაში დამაჯერებლად (ჰოლანდიასთან, ბულგარეთთან, იტალიასთან, უნგრეთთან) და შეინარჩუნა საპატიო ჯილდო. ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი ავტორთაგანი გურამ მინაშვილი იყო.

გურამი პირველი შეხვედრიდანვე მთავარ ხუთეულში იდგა. მაგრამ შეიძლება ძირითად შემადგენლობაში თამაშობდე და სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდე. გურამი ამ ხუთეულის პირველი სიმი იყო. ყოველ მატჩში, ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი გურამს ებარა. გამოთიშო მოწინაალმდეგის მთავარი ძალა ისე, რომ თვითონ შენ აქტიური იყო შეტევაში, — მეტად ძნელი საქმეა. გურამი ამ ამოცანას ჩინებულად ასრულებდა. იგი მთელი დატვირთვით იბრძოდა მოედანზე და როდესაც გადაიქანცებოდა და დასვენებას მოითხოვდა, უნდა გენახათ ასეთ დროს თანაგუნდელთა შეშფოთება. ისინი თხოვდნენ გურამს მოედანზე კიდევ რამდენიმე ხნით დარჩენას, მოგების საბოლოო განაღდებამდე. დიახ, გურამი ამ შეხვედრებში პირველი სიმი იყო და სწორედ ამაზე მეტყველებს თამაშების ოქმებიც: ბულგარეთის ნაკრებთან შეხვედრაში გურამი იჭერდა ყველაზე საშიშ თავდამსხმელს — პანოვს. და რა გამოვიდა? მინაშვილმა თავის გუნდს მისცა 17 ქულა, ბულგარელმა კი მხოლოდ — 1. იტალიის ნაკრებთან თამაშში გურამის მოწინაალმდეგე იყო გუნდის კაპიტანი ალეზინი, მოთამაშე № 1, შეფარდება კვლავ მინაშვილის სასარგებლოდ იყო 8:0. უნგრელმა ბანხედიმ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მიიღო სპეციალური ჯილდო, როგორც ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა. გურამი სწორედ მას მიუჩინეს დარაჯად. ამ თავისებურ დუელში უპირატესობა კვლავ მინაშვილის მხარეს იყო. 12 ქულა მოუტანა მან თავის გუნდს იმ დროს, როდესაც ბანხედის შედეგიანობა მხოლოდ 7 ქულით შემოიფარგლა.

იტალიის კალათბურთის ფედერაციამ ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშის გამოსამჟღავნებლად სპეციალური ჟიური შეადგინა, რომელშიც შევიდნენ იტალიელი, შვეიცარიელი, იუგოსლაველი, ბერძენი და თურქი სპეციალისტები. შედეგების შეჯამებისას აზრთა სხვაობა არ ყოფილა, ტურნირის უძლიერეს მოთამაშედ ყველამ ერთხმად აღიარა გურამ მინაშვილი, რომელიც ამის გამო დააჯილდოვა სპეციალური ოქროს მედლით. ეს იყო ახალგაზრდა კალათბურთელის მაღალი კლასის ოფიციალური აღიარება.

მაირანოს თასის გათამაშებას რეგულარულად ესწრებოდა ერთი არაჩვეულებრივად ტანადი ზანგი. იგი თამაშებზე ხან მარტო მოდიოდა, ხან ქალთან ერთად (ისიც ზანგი იყო) და გულდასმით უყურებდა ყველა თამაშს. როგორც გამოირკვა, ეს ზანგი ყოფილა ამერიკელი კალათბურთის ცნობილი ვარსკვლავი ჯონსი (იგი სახელგანთქმული ბილ რასელის დროსაც მეორე ნომრად იყო აღიარებული და ახლაც ამ ადგილზეა, უილტონ ჩემბერლენის შემდეგ) ხოლო ქალი — მისი მეუღლე. ჯონსი მართალია, შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ იტალიაში ჩამოსულა სასწავლებლად. იტალიელებს უნდოდათ ჯონსის შეყვანა თავიანთ გუნდში, მაგრამ ფედერაციამ არ მისცა მათ ამის უფლება. როდესაც ჟიური ოქროს მედალს აძლევდა გურამს, მე შემთხვევით გავიხედე ჯონსისაკენ. ჩვენი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს. ჯონსმა გაიღიმა. ზეაღმართა მარჯვენა ხელის ცერი და შემდეგ სხვებთან ერთად ტაში შემოკრა. ეს კი უკვე გურამის არაოფიციალური აღიარება იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელის მიერ.

დასასრული. იხ. „ლელო" № 116.

ქალაქებსა და რაიონებში

ქობულეთი

რაიონის პირველობაზე ფეხბურთში წელს მონაწილეობდა 18 გუნდი.

რაიონის ჩემპიონები გახდნენ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელები.

• • •

დამთავრდა შეჯიბრება ქობულეთის რაიონის პირველობაზე ლელობურთში. საინტერესო ბრძოლის შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდნენ ბობოყვათელი ლელობურთელები.

ნ. კილაძე

ყვარელი

ამ დღეებში ყვარლის სარაიონო კულტურის სახლში ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს" პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყვარლის, ენისელის, შილდის, საბუის, ახალსოფლის, გავაზის, ჭიკაანის მოჭიდავეთა გუნდები. კარგად მომზადებული გუნდი წარმოადგინა სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელთა წარმომადგენლებმა (გ. და ვ. ნარეკლიშვილები, ს. ვარდაშვილი და კეწელაშვილი) დაიკავეს პირველი ადგილები თავიანთ წონებში და მოიპოვეს გუნდური პირველი ადგილი.

ვ. ბურასპაშვილი

სხვადასხვა

დაღუპული ალპინისტი

იაპონიის ალპინისტები, რომლებიც ყარაყორუმის ქედზე იმყოფებიან ხოგოლისის (7.670 მ) მწვერვალზე, წააწყდნენ საინტერესო სანახაობას. მწვერვალამდე 1200 მეტრზე ალპინისტებმა შეამჩნიეს თოვლში გაბნეული ნივთები.

სპორტსმენებმა შეცვალეს ოდნავ მარშრუტი და მოულოდნელად მიადგნენ საძილე ტომარას, ფოტოაპარატს, სამგზავრო ნავთქურას და დღიურს. როგორც გამოირკვა, ეს ნივთები ეკუთვნოდა ამ ადგილებში დაღუპულ ავსტრიელ ალპინისტს ბულას.

უბედური შემთხვევა

მოულოდნელად დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა 22 წლის შვედმა მძლეოსანმა ბო ლარსენმა, სტოკჰოლმში გამართულ ერთ-ერთი შეჯიბრების დროს, უცდიდა რა მესტარტის ნიშანს, მას უცაბედად გულში მოხვდა შუბი. ლარსენი ადგილზევე გარდაიცვალა.

თექვსმეტგზის ჩემპიონი

ევროპის ყოფილმა ჩემპიონმა, 41 წლის ბადროსმტყორცნელმა ადოლფ კონსოლინიმ წელსაც მონაწილეობა მიიღო იტალიის მძლეოსანთა ჩემპიონატში, სპეციალისტების აზრით კონსოლინის გადაწყვეტილება ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული, რადგან მას არა თუ გამარჯვების, პირველ სამეულში გასვლის შანსებიც კი არა ჰქონდა.

მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა. კონსოლინიმ მოიპოვა პირველი ადგილი და მე-16-ჯერ გახდა თავისი ქვეყნის ჩემპიონი.

მარათონული ჩოგბურთი

1920 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ლოს-ანჟელოსში დამყარებულ იქნა ჩოგბურთში ხანგრძლივი თამაშის რეკორდი.

მატჩი იტალიელ ო. ცერლენდისა და ინგლისელ გ. ლოვს შორის დაიწყო 16 საათზე და ვერ დამთავრდა სიბნელის გამო. მეორე დღეს შეხვედრა განახლდა დილას და დამთავრდა მხოლოდ საღამოს. მატჩი, რომელიც გრძელდებოდა 17 საათს, მოიგო ინგლისელმა.

დღეს თბილისში

ჩოგბურთი. საქალაქთაშორისო ამხანაგური მატჩი თბილისი-უჟგოროდი. ფიზკულტურის თბილისის კომიტეტის კორტებზე. დასაწყისი 11 საათზე.

ამანათრბენი. „თბილისის რკალი". სტარტი და ფინიში ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე. დასაწყისი 12 საათზე.

ფრენბურთი. საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სახ. თასზე. საზოგადოება „განთიადის" მოედნები. დასაწყისი 11 საათზე.

ფეხბურთი. ქალაქის პირველობა მოზარდთა შორის. თამაშები ჩატარდება ქალაქის ყველა საფეხბურთომოედანზე, გარდა „დინამოს" სტადიონისა. დასაწყისი 11 საათზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი, თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06451